კომუნიკაციის პრინციპები

ტესტების პასუხები

დოქტორი დენი მაკკეინი და ღირსი რ. ჰატჩინსონი

მომზადებულია

დოქტორ რენდელ მაკელვეინის მიერ

shepherds
GLOBAL CLASSROOM

გაკვეთილი 1
კომუნიკაციის თეოლოგია

(1) რომელია კომუნიკაციის სამი ძირითადი ფორმა ქრისტიანი ლიდერებისთვის?

- ქადაგება
- სწავლება
- წერა

(2) როდესაც ღმერთმა თქვა: "შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად," ვინ იყო ის, ვისაც ის ელაპარაკებოდა?

- ღმერთი ელაპარეკებოდა ღმერთს. *ანუ*
- ღმერთი ელაპარეკებოდა სამების ერთ-ერთ პიროვნებას.

(3) რა იყო პირველი ორი მცნება, რომლებიც ღმერთმა ადამიანებს გადასცა?

- ინაყოფიერეთ და იმრავლეთ.
- იუფლეთ და იზრუნეთ დედამიწაზე.

(4) რომელი სიტყვა-სიმბოლო გამოიყენა იოანემ იესოს აღსაწერად მის ხორცშესხმამდე?

"სიტყვა"

(5) ჩამოთვალეთ ადამიანის კომუნიკაციის სამი დარღვევა (ნებისმიერი სამი):

- ტყუილი
- ცილისწამება
- გმობა
- წყევლა
- შეურაცხყოფა

(6) რომელია ღმერთის მიერ არჩეული ქრისტეს კეთილი უწყების გავრცელების ძირითადი საშუალება?

ზეპირი კომუნიკაცია

გაკვეთილი 2
კომუნიკაციის პრინციპები

(1) რა არის კომუნიკაციის სამი კომპონენტი?

- კომუნიკატორი
- შეტყობინება
- ადრესატი

(2) რომელ ორ ადგილზე შეიძლება შეწყდეს კომუნიკაცია?

- კომუნიკატორზე
- ადრესატზე

(3) რომელია კომუნიკაციის ყველაზე ინტიმური და როგორც წესი, ყველაზე წარმატებული ფორმა?

ზეპირი კომუნიკაცია ერთი ერთზე (პირისპირ) ანუ ინდივიდუალურად

(4) რა არის ზეპირი კომუნიკაციის ყველაზე რთული ფორმა ადამიანთა უმეტესობისთვის?

საჯარო გამოსვლები

(5) ამ გაკვეთილზე განსაზღვრული წერილობითი კომუნიკაციის ხუთი მახასიათებლიდან ჩამოთვალეთ სამი…

- ხშირად უფრო მოკლეა, ვიდრე ზეპირი კომუნიკაცია.
- ხშირად უფრო ზუსტია ვიდრე ზეპირი კომუნიკაცია.
- უფრო ოფიციალურია, ვიდრე ზეპირი კომუნიკაცია.
- ხშირად უფრო მეტი გავლენა აქვს ვიდრე ზეპირ კომუნიკაციას.
- უფრო ხანგრძლივმოქმედია, ვიდრე ზეპირი კომუნიკაცია.

(6) ჩამოთვალეთ ხუთიდან სამი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენი კომუნიკაციის წარმატებაზე (ნებისმიერი სამი):

- გზავნილი
- მომზადება
- აუდიტორია
- გარემოებები
- გარემო

(7) კომუნიკაციის ხუთი დაბრკოლებიდან ჩამოთვალეთ სამი (ნებისმიერი სამი):

- სიტყვით საჯაროდ გამოსვლის შიში
- ადეკვატური მომზადების ნაკლებობა
- აუდიტორიისადმი მგრძნობელობის არქონა
- ცენტრალური თემის ვერ შემუშავება
- კარგად ილუსტრირების უუნარობა

(8) ჩამოთვალეთ სამი რამ, რაც დუეინ ლიტვინმა შემოგვთავაზა აუდიტორიის ყურადღების შესანარჩუნებლად (ნებისმიერი სამი):

- სიახლე
- მოძრაობა ანუ მოქმედება
- სიახლოვე
- კონკრეტულობა
- ნაცნობობა
- კონფლიქტი, ანუ შეპირისპირება
- მოლოდინი (ინტრიგა)
- სიმძაფრე
- იუმორი
- ცხოვრებისეულობა

გაკვეთილი 3
ქადაგების შესავალი

(1) ტაბითი ანიაბვილის განმარტება ქადაგების შესახებ "ღმერთი ლაპარაკობს თავისი სულის ძალით, თავისი ძის შესახებ, თავის სიტყვი-დან, ადამიანის მიერ სხვა ადამიანების მიმართ."

(2) ადრეული ეკლესიის მიერ ქადაგებულ შეტყობინებას კერიგმა ეწოდება.

(3) ევანგელისტური ქადაგება მიზნად ისახავს შთააგონოს მსმენელს მიიღოს გადაწყვეტილება იესო ქრისტეს პირად მხსნელად მიღების შესახებ.

(4) პასტორალური ქადაგება, როგორც წესი ქრისტიანულ თემს მიმართავს.

(5) თემატური ქადაგება აგებულია ერთი სათაურის ან თემის გარშემო.

(6) ტექსტუალური ქადაგება ემყარება ცალკეულ ტექსტს ან ფრაზას ბიბლიიდან.

(7) ბიოგრაფიული ქადაგება ემყარება ბიბლიის პერსონაჟის ამბავს.

(8) განმარტებითი ქადაგების მიზანია: „წმინდა წერილის გარკვევით გადაცემა, რათა ხალხმა გაიგოს, თუ რა იყო წაკითხული."

გაკვეთილი 4
ქადაგების მექანიკა

(1) ქადაგებისთვის მუხლის ან თემის შესწავლისას, უნდა გააკეთოთ ჩანაწერები…

(B) ნებისმიერი კითხვა, მითითება, ციტატა ან ამბავი, რომელზეც მომზადების დროს ფიქრობთ.

(2) ქადაგების <u>თემა</u> არის იმის ერთწინადადებიანი შეჯამება, რაც გსურთ გადასცეთ ქადაგებაში.

(3) მომდევნო ქადაგების მონახაზი არ ვარგა, რადგან…

(ა) ყველა პუნქტი არ ეხება თემას.

(4) ჩამოთვალეთ სამიდან ორი უპირატესობა, რომელსაც მოგცემთ თქვენი ქადაგების მკაფიო მონახაზის დაწერა (ნებისმიერი ორი):

- მონახაზი აძლევს ქადაგებას სტრუქტურას.
- მონახაზი ყურადღებას შეგანარჩუნებინებთ მთავარ თემაზე.
- მონახაზის გაკეთება ეხმარება მსმენელს ქადაგების გაგებასა და დამახსოვრებაში.

(5) გავრცობილ მონახაზში თქვენ განავრცობთ თითოეულ პუნქტს სრულ წინადადებებად. (სიმართლეა)

(6) კარგი ილუსტრაცია ჰგავს <u>ფანჯარა</u>-ს, რომელიც სახლში სინათლეს უშვებს.

(7) ჩამოთვალეთ ქადაგებისას ამბების გამოყენების სამი უპირატესობა, (ნებისმიერი 3):

- ამბები წარმოშობს ინტერესს.
- ამბები აუმჯობესებს აღქმას/გაგებას.
- ამბები ეხმარება მოსმენილის გამოყენებაში.
- ამბები აუმჯობესებს მეხსიერებას.
- ამბების თხრობა ბუნებრივი სწავლების ტექნიკაა.

(8) ჩამოთვალეთ ქადაგების სრულად დაწერის სამი უპირატესობა (ნებისმიერი სამი):

- წერა გეხმარებათ კონცენტრაციაში.
- წერა გეხმარებათ ჭეშმარიტების დანახვაში, რომელსაც სხვაგვარად ვერ დაინახავდით.
- წერა გეხმარებათ თქვენი აზრების ორგანიზებაში.
- ჩანაწერის გაკეთებით ჩვენ სამუდამოდ ვაფიქსირებთ და ვინახავთ, რასაც ღმერთი გვასწავლის.
- წერა წარმოადგენს სასარგებლო ინსტრუმენტს სხვა ადამიანების დასახმარებლად.

გაკვეთილი 6
წერილობითი კომუნიკაცია

(1) ჩამოთვალეთ სამი რამ, რაც ღმერთმა უბრძანა თავის მსახურებს, რომ დაეწერათ (ნებისმიერი სამი):

- კანონი, რომელსაც ისრაელი უნდა ემართა
- ღვთის სიტყვები კარების წირთხლებზე და ჭიშკრებზე
- გალობა
- სიტყვები ღვთის ხალხისთვის
- წინასწარმეტყველური წიგნი
- ტაძრის აღწერა
- გამოცხადებები ღმერთისგან
- გზავნილები ეკლესიების მიმართ
- წმინდა წერილი

(2) ჩამოთვალეთ სამი საშუალება, რომლითაც იერემია გვაჩვენებს მწერლობის მნიშვნელობას.

- ჩვენს ჩანაწერებს შეუძლიათ ისეთ ადგილებში მიღწევა, სადაც ჩვენ ვერ შევძლებთ მისვლას.
- ჩვენს ნაწერებს შეუძლიათ ისაუბრონ ისე, როგორც ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ.
- ჩვენი ჩანაწერები ჩვენს შემდეგაც ილაპარაკებენ.

(3) ჩამოთვალეთ სამი მოსაზრება, რაშიც წერითი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ქრისტიანი ლიდერებისათვის (ნებისმიერი სამი):

- რასაც წერთ, უფრო აუმჯობესებს თქვენს აზროვნებას, ვიდრე ის, რასაც კითხულობთ.
- რასაც წერთ, უფრო მკაფიოდ გადმოსცემს აზრს, ვიდრე თქვენს მიერ ნათქვამი.
- რასაც წერთ, უფრო მარტივად აღიქმება, ვიდრე თქვენი ნათქვამი.
- რასაც დაწერთ, უფრო დიდხანს დაამახსოვრდებათ, ვიდრე თქვენი ნათქვამი.

(4) ჩამოთვალეთ სამი რჩევა წერის გასაუმჯობესებლად (ნებისმიერი სამი):

- წერეთ რაც შეიძლება მეტი.
- წერეთ რაც შეიძლება მარტივად.
- რედაქტირება გაუკეთეთ თქვენს ჩანაწერებს.
- სხვას სთხოვეთ თქვენი ჩანაწერების რედაქტირება.
- იყავით რეალისტები თქვენი ჩანაწერის მიმართ.

გაკვეთილი 7
სწავლება

(1) სწავლება არის <u>ინფორმაციისა და დამოკიდებულების აქტიური გადაცემა</u> **ერთი ადამიანისგან მეორესთვის.**

(2) რა არის მასწავლებლის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა?

- სხვებისთვის ჭეშმარიტების გადაცემა
- იმის სწავლება, თუ როგორ ისწავლონ

(3) ჩამოთვალეთ კარგი მასწავლებლის სამი მახასიათებელი (ნებისმიერი სამი):

- ბევრი მუშაობა/ სიბეჯითე
- ცოდნა
- ინოვაცია
- იუმორი
- მგრძნობიარეობა
- მოთმინება
- ბალანსი, ანუ წონასწორობა

(4) ჩამოთვალეთ რობერტ ტომპსონის მიერ განსაზღვრული ოთხი ტიპის მოსწავლე.

- ანალიტიკური თეორეტიკოსი
- დინამიური აქტივისტი
- წარმოსახვითი მოაზროვნე
- საღი აზრის მქონე პრაგმატიკოსი

(5) ჩამოთვალეთ იესოს სწავლების სამი მეთოდი (ნებისმიერი სამი):

- ლექციები
- შეკითხვები
- დისკუსიები
- დებატები, ანუ კამათი
- ამბები
- თვალსაჩინოების გაკვეთილები
- იგავები
- დრამა
- რეზიუმირება

(6) რატომ სთხოვენ კარგი მასწავლებლები სტუდენტებს შეაჯამონ თავიანთი სწავლება?

იმის საზომი, თუ რამდენად გაიგო მოსწავლემ გაკვეთილი, არის რამდენად შეუძლია მას გაკვეთილის შეჯამება.

(7) ზოგიერთი ვასწავლით იმით, რასაც <u>ვამბობთ</u>. **უფრო მეტს ვასწავლით იმით, რასაც** <u>ვაკეთებთ</u>. **ჩვენ ყველაზე მეტად ვასწავლით იმით, რაც** <u>ვართ</u>.

(8) ჩამოთვალეთ სამი საშუალება, როგორც მასწავლებლებმა, როგორ უნდა ავირიდოთ მოსწავლეების ყურადღების გაფანტვა.

- ნუ მისცემთ მეტყველების ცუდ ჩვევებს იმის საშუალებას,რომ თქვენი სტუდენტების ყურადღება სწავლისგან მასზე გადავიდეს.
- ნუ ჩააყენებთ უხერხულ მდგომარეობაში თქვენს სტუდენტებს.
- არ შეგეშინდეთ არცოდნის აღიარების.

გაკვეთილი 8
ადამიანური ურთიერთობები

(1) ადამიანური ურთიერთობები არის <u>სხვა ადამიანებთან მუშაობის</u> ხელოვნება.

(2) ჩამოთვალეთ რეხაბყამის სამი შეცდომა ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისით.

- მან უგულებელყო ბრძენი ადამიანების კარგი რჩევა.
- მან უგულებელყო სხვა ადამიანების გრძნობები და ემოციები.
- მან უგულებელყო თავისი ქმედების გავლენა სხვა ადამიანებზე.

(3) რა მნიშვნელოვან გაკვეთილს ასწავლის პავლე რომაელების მე-14 თავში?

ადამიანური ურთიერთობები მოითხოვს პირადი უფლებების დათმობას.

(4) რა მნიშვნელოვანი გაკვეთილი ასწავლა პავლემ ადამიანური ურთიერთობების შესახებ ტიმოთეს, წინადაცვეთისკენ მოწოდების მაგალითით?

პირადი უპირატესობის დათმობის მზადყოფნა

(5) რა მნიშვნელოვან გაკვეთილი გვასწავლა პავლემ ადამიანურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ფელიქსის წინაშე თავდაცვით და მის მიერ წარმოთქმული სიტყვით ათენში?

კარგი ადამიანური ურთიერთობები მოითხოვს საკუთარი თავის სხვა ადამიანებთან გაიგივებას, ანუ მათ ადგილზე დაყენებას.

(6) ჩამოთვალეთ ამ გაკვეთილში მოცემული ოთხი პრაქტიკული რჩევა ადამიანებთან ურთიერთობისთვის (ნებისმიერი ოთხი):

- დაიწყეთ ზემოდან.
- "ვაგონით იმ მიმართულებით იმგზავრეთ, საითაც ის უკვე მიდის."
- ყველა თან წაიყვანეთ.
- სცანით სხვა ადამიანები.
- შექმენით პროფესიონალურად დაწერილი მასალა.
- აღიარეთ, რომ კარგი ურთიერთობები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კარგი იდეები.
- იყავით სწავლისკენ მსწრაფველნი.
- იყავით გულწრფელნი.

(7) ჩამოთვალეთ ოთხი შეცდომა ადამიანურ ურთიერთობებში, რომლებიც თავიდან უნდა აიცილოთ (ნებისმიერი ოთხი):

- ნუ იქნებით საკუთარ თავზე ორიენტირებულნი.
- არ ააშენოთ თქვენი მსახურება სხვისი მსახურების ხარჯზე.
- ნუ უგულებელყოფთ სათანადო პროტოკოლს.
- ნუ დააჩქარებთ მოვლენებს.
- ნუ წახვალთ კომპრომისზე პრინციპების დათმობის ხარჯზე.

გაკვეთილი 9
კულტურათაშორისი კომუნიკაცია

(1) ჩამოთვალეთ ძველი აღთქმის კულტურათაშორისი კომუნიკაციის ორი მაგალითი. (ნებისმიერი ორი):

- აბრაამმა და იოსებმა მოიპოვეს ეგვიპტის ფარაონის პატივისცემა.
- სოლომონი მასპინძლობდა სტუმრებს მთელი ანტიკური სამყაროდან.
- დანიელი გახდა ბაბილონისა და სპარსეთის მმართველების პატივსაცემი მრჩეველი.
- ესთერი გახდა მეფე არტაქსერქსეს (ახაშვეროშის) დედოფალი.

(2) როგორ გახადა მათეს 28-ე თავში გადმოცემულმა იესოს დავალებამ კულტურათაშორისი ურთიერთობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი?

მან დაავალა თავის მიმდევრებს: „წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი.”

(3) ჩამოთვალეთ ამ გაკვეთილზე ნასწავლი ხუთი პრაქტიკული მოსაზრება კულტურათაშორისი კომუნიკაციის შესახებ.

- მოუსმინეთ სანამ ილაპარაკებთ
- გამოიყენეთ იუმორი სიფრთხილით
- მოყევით ამბები
- იყავით მგრძნობიარე კულტურის მიმართ
- იყავით სხვების მოყვარულნი და პატივისმცემელნი

(4) რატომ არის იუმორი რთული საკითხი კულტურათაშორისი კომუნიკაციის თვალსაზრისით?

ბევრი ხუმრობა ცალკეული კულტურისთვისაა დამახასიათებელი და გასაგები.

(5) რა თქვა იესომ, რაც ეხმარება ყველა კულტურათაშორის კომუნიკაციას?

- “გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.”
- „როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ასევე მოექეცით მათ, რადგან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი.”

(6) **დოქტორ ელმერის აზრით, რა არის ხუთი ინგრედიენტი, რომელიც აუცილებელია ეფექტური მსახურის ან კომუნიკატორისთვის?**

- სწავლა
- გაგება
- გახსნილობა
- მიღებულობა
- ნდობა

(7) ჩამოთვალეთ სამი პრაქტიკული ნაბიჯი, რათა გახდეთ უკეთესი მსმენელი.

- მოიცილეთ ყურადღების გამფანტველი ფაქტორები.
- სხეულის ენა მნიშვნელოვანია.
- გააკეთეთ ჩანაწერები.

გაკვეთილი 10
სულიწმიდით ცხებული ქადაგება

(1) ცხებული ქადაგებისათვის მქადაგებელმა საკუთარი თავი უნდა მოამზადოს <u>პირადი ლოცვით</u> **და** <u>პიროვნული სიწმინდით</u>.

(2) პავლემ უთხრა ტიმოთეს, რომ მან უნდა იბრძოლოს <u>რწმენით</u>.

(3) სულიწმიდა <u>ანათებს</u> **მქადაგებლის გონებას და ანიჭებს** <u>ძალას</u> **მქადაგებლის სიტყვას.**

(4) განსაზღვრეთ გონების განათების მნიშვნელობა.

განათება არის სულიწმიდის მიერ ჩვენი გონების გახსნა წერილის გასაგებად.

(5) ი.მ. ბაუნდსის თანახმად, რა ფასი აქვს ცხებულებას ქადაგებაში?

"ლოცვა, ბევრი ლოცვა!"